ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 18 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 18 იანვრის N03/221 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 18 იანვრის N03/221 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ამავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით საჯარო დაწესებულებებისთვის დადგენილია ვალდებულება 2018 წლის 20 იანვრამდე საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებისა და 2018 წლის 1 იანვრიდან მათ ამოქმედებასთან დაკავშირებით.

მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლითაც მცირდება მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში არსებული 1 ვაკანტური თანამდებობა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციის შესაბამისად, მერის პირდაპირ დაქვემდებარებაში ემატება 1 საშტატო ერთეული გენდერული თანასწორობის საკითხებში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით საჯარო მოხელის თითოეული თანამდებობისთვის განსაზღვრული სახელფასო კოეფიციენტების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობებისთვის თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის პროცესში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად დაკორექტირდა ცალკეულ თანამდებობათა იერარქიული კუთვნილება და თანამდებობის დასახელება, კერძოდ: მერიის ამჟამად მოქმედი საშტატო ნუსხით მეოთხე რანგში განაწილებული თანამდებობები გადანაწილდა მესამე რანგში.

მერიის საშტატო ნუსხის პროექტში თითოეული თანამდებობისთვის თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების ფარგლებში. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია